ხაშურის მოამბე

№42(415) 6 ნოემბერი, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ამომრჩევლებს ანგარიში წარუდგინეს

31 ოქტომბერს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ-ნინო ლიპარტელიანმა, ხაშურელ ამომრჩეველს ყოველწლიური ანგარიში წარუდგინეს.

შეხვედრაზე მომხსენებლებმა ისაუბრეს იმ ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, კულტურულ თუ სამოქალაქო პროექტებზე, რომლებიც მიმდინარე წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში განხორციელდა. განხილული იყო სამომავლო გეგმებიც.

საანგარიშო მოხსენების დროს, დაისვა შეკითხვები, რაზეც მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ამომწურავად ისაუბრეს.

ანგარიშის წარდგენა კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა.

(მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში იხილეთ დღევანდელ ნომერში, საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშს კი მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის თენგიზ ჩიტიაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხაშურელმა ამომრჩეველმა ნდობა გამოუცხადა ქართული ოცნების გუნდს და პირადად მეც. ამ ნდობის გამართლება და შესაძლებლობის მაქსიმუმის გაკეთება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 26 755 500 ლარის ოდენობით. მიმდინარე წლის განმავლობაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა დღეის მდგომარეობით განისაზღვრა 43 038 974 ლარის ოდენობით. როგორც ხედავთ, ბიუჯეტის მოცულობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი

წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, რაც შეადგენდა 21 353 100 ლარს დამტკიცებულ და 43 038 974 ლარს დაზუსტებულ ბიუჯეტს.

აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადზე კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან გათვალისწინებულია 21 067 200 ლარი.

გრანტები სულ 9 704 577 ლარი, აქედან მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 415 000 ლარის ოდენობით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტს გამოეყო 6 451 882 ლარი, მუნიციპალური თანადაფინანსების თანხა შეადგენს 347 207 ლარს.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, მუნიციპალური თანადაფინანსება - 1 049 000 ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N301 განკარგულების საფუძველზე, სოფელ ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 759 065 ლარი, მუნიციპალური თანადაფინანსება 39 951 ლარი.

საქართველოს მთავრობის 26 დეკემბრის 2022 N2431 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 620 000 ლარი, რომელიც მიმართულია ხაშურში ზემოსერის ტყე-პარკის მეორე ეტაპის რეაბილიტაციისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული პროექტის თანადაფინანსება, სულ პროექტის ღირებულებაა 903 697 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვა პროგრამების დაფინანსების საშუალება და შესაბამისად, ამ პროგრამების ძირითადი მიზნების შესრულების შესაძლებლობა.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 სექტემბრამდე ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 134 ტენდერი, საიდანაც 73 ტენდერიდასრულდადადებითიშედეგით,ანუგაფორმდახელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, აღნიშნული ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 13 234 427.50 ლარს, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს - 11 587 585.70 ლარს, ეკონომია შეადგენს - 1 646 841.80 ლარს. გამოცხადებული ტენდერებიდან არ შედგა 40 ტენდერი, 11 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, 7 ტენდერი მიმდინარეა, ხოლო 3 ტენდერი შეწყვეტილია.

2023 წლის 9 თვეში, სულ განხორციელდა 227 შესყიდვა, რამაც, გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შეადგინა 19 149 235.55 ლარი

ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 144 ხელშეკრულება 3 265 307.97 ლარის შესყიდვაზე

ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმებულია 83

(დასასრული შიდა გვერდებში)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის თენგიზ ჩიტიაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ხელშეკრულება 15 883 927.58 ლარის შესყიდვაზე.

მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საქმეში:

დავიწყებ პროექტით, რომელიც მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესია. ეს გახლავთ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების აღდგენის მართლაც საუკუნის პროექტი, რომელსაც საფრანგეთის განვითარების სააგენტო, ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა აფინანსებს. პროექტი ითვალისწინებს ხაშურისა და მისი მიმდებარე დასახლებების (ზემო და ქვემო ოსიაურის, ცხრამუხას) წყალმომარაგებისა და ხაშურის წყალარინების სისტემის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში, აშენდება 170 კმ ახალი წყალმომარაგების ქსელი და რეაბილიტირდება და აშენდება 40 კმ წყალარინების ქსელი; აშენდება წყალმომარგების სათავე ნაგებობები, სატუმბი სადგურები, გადამცემი ხაზები და სადისტრიბუციო ქსელები, ასევე, ჩატარდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელის, მათ შორის კოლექტორების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია ძველი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დემონტაჟი, რომლის ნაცვლად აშენდება ახალი ნაგებობა. სამუშაოები 5 წელიწადში ეტაპობრივად დასრულდება. შედეგად, ქალაქ ხაშურსა და მიმდებარე დასახლებებში მცხოვრები დაახლოებით 44 000 ადამიანი ისარგებლებს უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების გამართული სისტემით. საპროექტო სამუშაოები უკვე მიმდინარეობს ქალაქ ხაშურში - შინდარის უბანში და ეტაპობრივად ყველა ქუჩას მოიცავს. ამასთან, მნიშვნელოვანია განვაცხადოთ, რომ ქალაქ ხაშურში შიდა გზების რეაბილიტაცია დაიწყება მხოლოდ ამ პროექტის განხორციელების შემდეგ.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით ხორციელდება შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები:

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარამდე და ქემფერამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

სოფელ ბრილში მისასვლელი გზის მოასფალტება (დასრულდა);

ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (დასრულდა);

სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

ქ.ხაშურში ტაბიძის ქ. არსებული პარკის რეაბილიტაცია (მიმდინარე);

დაბა სურამში ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტება (მიმდინარე)

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N301 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 759 065 ლარი, მუნიციპალურმა თანადაფინანსებამ შეადგინა 39 951 ლარი, პროექტისათვის სოფელ ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოები.

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება 13 316 500 ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები. წარმოგიდგენთ მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს:

დიდი და პატარა სატივეში გზის მოასფალტება (დასრულდა);

სოფ. ბიჯნისამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (მიმდინარე);

სოფელ ურთხვაში, გზის (I და II მონაკვეთი) მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში, კიკნაძის ქუჩის მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში ბარათაშვილის ქუჩის მოასფალტება (დასრულდა);

სოფ. გომში, სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფ. ალში, სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (დასრულდა);

სოფელ ყიფიანთუბანში, გზის მოწყობა (დასრულდა);

სოფელ ახალუბანში, მისასვლელი გზის მოასფალტება (დასრულდა);

დაბა სურამში, გოგოლის ქუჩის რეაბილიტაცია (დასრულდა);

ქალაქ ხაშურში, პროფესიული სასწავლებლის მიმდებარედ ბეტონის საფარის მოწყობა (დასრულდა).

მუნიციპალიტეტი ყურადღებას უთმობს ნაპირსამაგრ სამუშაოებს. დასრულდა დაბა სურამში მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე რუსიას ქუჩის მიმდებარედ 307.0 მ დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია, ასევე, დაბა სურამში, მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ მიმდინარეობს 260.0 მ დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია. დასრულებულია სოფელ ქვიშხეთში, ლაცაბიძეების უბნის მიმდებარედ დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის მშენებლობა-რეაბილიტაციაც. ამ ეტაპზე ს აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის მონაკვეთზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

აქტიურად მიმდინარეობს ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის (ყოფილი რკინიგზის კლუბის) რეაბილიტაცია. პროექტით, შენობის სრული რეკონსტრუქციაა გათვალისწინებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს, როგორც დარბაზის, ასევე, კულისებისა და ადმინისტრაციული ოთახების მოწყობა, იცვლება შენობის სახურავი.პროექტის ფარგლებში, დარბაზში დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის გახმოვანების და განათების სისტემები, შესაბამისი აკუსტიკით. შენობაში მოწესრიგდება წყლის და კანალიზაციის სისტემები, იქნება გათბობა, გამოიცვლება სახურავი. შენობა ადაპტირდება შშმ პირებზე და ექნება სათადარიგო გასასვლელი. პროექტი გარდამავალია, თანხამ 2023 წელს შეადგინა 700 000 ლარი. სამუშაოების სრული ღირებულება 1 714 744 ლარს ითვალისწინებს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. კულტურის სახლი ათწლეულების განმავლობაში არ გარემონტებულა, შემდგომ, იყო გარკვეული შეფერხებები, რამაც შენობის რეაბილიტაციის პროცესები შეაჩერა. მიმდინარე პროექტის დასრულების შემდეგ კი, ხაშურის მუნიციპალიტეტი, კულტურულ ცხოვრებას მეტი შემართებით გააგრძელებს.

საქართველოს მთავრობის 26 დეკემბრის 2022 N2431 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 620 000 ლარი, რომელიც მიმართულია ხაშურში ზემოსერის ტყე-პარკის მეორე ეტაპის რეაბილიტაციისთვის. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული პროექტის თანადაფინანსება. სულ პროექტის ღირებულება 903 697 ლარი, სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში, მოეწყო გარე განათებები, ფანჩატურები, სარბენი და ველო ბილიკები, დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის დასასვენებელი სკამები, მაგიდები და ნარჩენებისთვის განკუთვნილი urნები. მეორე ეტაპის მშენებლობის ფარგლებში კი მიმდინარეობს ამფითეატრისა და სკეიტბორდის მოედნის მშენებლობა, მოეწყობა სველი წერტილები, შესასვლელ ტერიტორია, დონომიტის დეკორატიული თეთრი ქვებით გალამაზდება ბილიკები. აღნიშნულ პროექტს, მომავალ წელს, მესამე ეტაპიც ექნება, რა დროსაც მოეწყობა კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნებს, დავრგავთ მწვანე ნარგავებს და გვაქვს კიდევ უამრავი სიახლე, რაც ხაშურელი მოსახლეობისთვის სასიამოვნო იქნება, ვფიქრობთ, რეაბილიტირებულ ტყე-პარკს უამრავი სტუმარი ეყოლება და ისინი კომფორტულად დასვენებას შეძლებენ.

ზემო სერის ტყე-პარკის რეაბილიტაციას ხაშურელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და ამიტომ ეს პროექტი ჩვენთვისაც ძალიან ღირებულია. ამასთან, ზემო სერის ტერიტორიაზე მალე გაიხსნება პროფესიული სასწავლებელი, დაგეგმილია თანამედროვე სარაგბო ბაზის მოწყობა, გრძელდება ახალი ბანას ტაძრის მშენებლობა, რაც ტერიტორიას ახალ და მძლავრ სიცოცხლეს შესძენს და მიმზიდველს გახდის როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტურისტებისთვისაც.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით დასრულდა ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სკოლის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის სამუშაოები, დასრულებულია ამავე ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაციის სამუშაოები.

დასრულებულია სკვერის მოწყობა ხაშურის შემოსასვლელთან, ტურისტული ცენტრის მიმდებარედ. როგორც მოგეხსენებათ, ტურისტული საინფორმაციო ცენტრი ხაშურქალაქობის დღესასწაულის ფარგლებში გაიხსნა და გვჯერა, რომ ფრაზა „რა უნდა ხაშურში ტურისტსა“ მალე დავიწყებას მიეცემა, რადგან ჩვენს მუნიციპალიტეტს ნამდვილად ბევრი რამ აქვს ტურისტებისთვის შესათავაზებელი.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, მუნიციპალური თანადაფინანსება 1 49 000 ლარი. დაფინანსებულია 74 პროექტი. მიმდინარეობს წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე გამოყენების ტრენაჟორების მოწყობა, ბეტონის გზების დაგება, გზების მოხრეშვა, სკვერების სანიაღვრე არხების მოწყობა და სხვ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასრულდა და მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის - სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია, კერძოდ მოეწყობა ე.წ მინი სტადიონები ტრენაჟორები ქალაქ ხაშურში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინი სტადიონების და გარე ტრენაჟორების მოწყობა რეაბილიტაცია, სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია, კერძოდ სოფელ ცხრამუხაში მინი სტადიონის მოწყობის შესყიდვა, ფარნავაზ მეფის N7-ის მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაცია, სოფელ ცხრამუხაში სკოლის მიმდებარედ სტადიონის მოწყობა, სოფელ ვაყაში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, დაბა სურამში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, მინისტადიონის მოწყობა, სოფელ ზემო ოსიაურში მინი სტადიონის მოწყობა, ქ. ხაშურში თავდადებულის ქუჩზე არსებული სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები, დაბა სურამშ,ი ბაიანთხევის დასახლებაში, სტადიონის მოწყობა, სოფ. ტეზერში სტადიონის მოწყობა, ქ. ხაშურში ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე სტადიონის მოწყობა, ხაშურში გორგასლის ქუჩაზე ე.წ. რუსების სტადიონის რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტადიონების და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია სულ თანხით 1 373 763 ლარი.

სკვერებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაციას მუნიციპალიტეტი მომავალშიც გააგრძელებს, თუმცა, მოსახლეობასთან გვექნება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თხოვნა: ძალიან მომრავლდა ვანდალიზმის ფაქტები. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად დაზიანების ხარისხი აშკარად მეტყველებს, რომ ადგილი აქვს მიზანმიმართულ ქმედებას. მუნიციპალიტეტი აუცილებლად გამოიყენებს მისი კომპეტენციას მიკუთვნებულ უფლებას და გაატარებს ადმინისტრაციულ ზომებს, მაგრამ გთხოვთ, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ იმას, რაც უკვე გაკეთებულია, რაშიც თითოეული ჩვენგანის ფულია გადახდილი და შესაბამისად, თითოეული ჩვენგანის საკუთრებას წარმოადგენს. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტი მუშაობს შეზღუდული რესურსების პირობებში და ამდენად, ძალიან სამწუხაროა, რომ იძულებული ვართ, დამატებითი რესურსი დავხარჯოთ იმაზე, რაც ერთხელ უკვე გაკეთდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის თენგიზ ჩიტიაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტია მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება. ამ მიმართულებით განხორციელდა ქ. ხაშურში, ცენტრალურ მოედანზე, ფასადებზე და დაბა სურამში სურამის ციხეზე დეკორატიული განათებების მოწყობა, 55 353 ლარი, ასევე დაიგეგმა სპეციალური ტექნიკის ამწე კალათის (შესყიდვა 350 000 ლარი.).

მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებით, დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, იგეგმება ორი ერთეული ნაგავმზიდი მანქანის შესყიდვა. ასევე 167 500 ლარი დაიგეგმა დასუფთავებისათვის ნაგავშემკრები კონტეინერების შესასყიდად ნარჩენების განთავსებისათვის.

2022 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“-ს, ცნება „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“, გულისხმობს ადგილობრივ დონეზე მართვის ინოვაციურ მეთოდებს, ფინანსების ყაირათიან და შედეგზე ორიენტირებულ განკარგვას, ასევე მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე პროექტების განხორციელების მონიტორინგსა და შედეგების შეფასების პროცესებში. მონაწილეობითი ბიუჯეტირება ემყარება რწმენას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო მოხელეები ერთობლივად უფრო ეფექტურად შეძლებენ საჯარო ხარჯების პრიორიტეტულობის განსაზღვრას, რაც ხელს შეუწყობს სოციალური კონფლიქტების შემცირებას და გაზრდის საზოგადოების კეთილგანწყობას მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. მოწილეობითი ბიუჯეტირების არსი ისაა, რომ მოსახლეობა თავად განსაზღვრავს საკუთარ საჭიროებებს და თავადვე წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს, მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. შესაბამისად, ბიუჯეტის ასიგნებებმა 2023 წლის ბიუჯეტში შეადგინა 300 000 ლარი (სოფელი წაღვლი 100 000 ლარი, სოფელი ცედანი 100 000 ლარი, სოფელი თაგვეთი 100 000 ლარი), სოფელი წაღვლში ახალი საარჩევნო სისტემით ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურების მეშვეობით განხორციელდა საპროექტო იდეების წარდგენა, გადარჩევა და გამარჯვეული პროექტების გამოვლენა ხოლო სოფელ ცედანსა და თაგვეთში ტრადიციული მეთოდით.

როგორც მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღებზე ზრუნვა ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სადღეისოდ მუნიციპალიტეტში ჩვენს პატარებს ემსახურება სრულად რეაბილიტირებული 18 საბავშვო ბაღი. უახლოეს პერიოდში დაიწყება ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ცხრამუხაში, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ფინანსდება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღსაზრდელთათვის საერთაშორისო სტანდარტების სრულ შესაბამისობაში მყოფი პირობების შეთავაზებას როგორც კვებისა და ჰიგიენის, ისე სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების მიმართულებით.

აღსანიშნავია ასევე, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, არასამთავრობო ორგანიზაცია ბილიკმა, სლოვაკური მხარის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში გახსნა კიდევ ერთი რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრი, რაც განკუთვნილია შშმ ბავშვებისა და მოზარდებისთვის.

მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზებას.

მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 112 820 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 859 940 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 41 410 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 24 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 170 000 ლარი;

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფას. ამ მიზნით დახმარება გაეწია 202-ზე მეტ ბენეფიციარს 85 000 ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვების/ მოზარდების რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას. სქოლიოზით დაავადებულ 45 მოზარდს გაეწია დახმარება და ჩაუტარდა რეაბილიტაციის სრული კურსი, რამაც 14 000 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის მუნიციპალური პროგრამით ფულადი სოციალური დახმარება გაეწია მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს და იმ პირებს რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, ან საჭიროებენ მომვლელს. აღნიშნული კატეგორიის 156 ბენეფიციარს გაეწია 46 800 ლარის ფულადი დახმარება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დადებითი როლი ითამაშა ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებამაც. ამ მუხლით ფინანსდებიან:

ა) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ გეგმიურ ქირურგიულ ჩარევას;

ბ) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და იმუნოჰისტოქიმიური კვლევა);

ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;

ავადმყოფები, რომლების საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსებას;

მე-2 პუნქტით- „ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“-დახმარების გაცემის შესაძლებლობას, მიზანშეწონილებას და მოცულობას (არაუმეტეს 2000 ლარისა) განსაზღვრავს 2018 წლის 23 მაისის N 1196 ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული მუხლით ფულადი დახმარება გაეწია 900 ბენეფიციარს, რამაც სულ შეადგინა 407 000 ლარი.

ასევე დაფინანსდა 40 ხელმოკლე სტუდენტი. მათ სწავლის ღირებულების თანადაფინანსებისათვის 800 (არაუმეტეს) ლარის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხათ 32 000 ლარი;

თირკმლის დიალიზის პროგრამაში ჩართულმა 40 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება 20 000 ლარის ოდენობით;

მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს, რომლებსაც შეეძინათ ოთხი და მეტი შვილი, ასევე, დედის დღესთან დაკავშირებით 372 მრავალშვილიან დედას გაეწია ფინანსური დახმარება 122 100 ლარის ოდენობით.

აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების (0 დან -18 წლამდე) სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება გაეწია 8 ბენეფიციარს 13 500 ლარის ოდენობით.

პარალელურად, გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის მოვლის ცენტრის, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები.

გარდა ამისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 185 მოქალაქე სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით, რომლის დანახარჯი დღეის მდგომარეობით შეადგენს 113 333.33 ლარი (8 თვე);

გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა.

მიმდინარე წელს, სოციალურად დაუცველ 730 ოჯახს, შობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით კვების პროდუქტების პაკეტებით გაეწიათ დახმარება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 49 638 ლარი;

ომის ვეტერანთა 49 ოჯახს გაეწიათ ფულადი დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების და საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 400-400 ლარით. სულ ამ თანხამ შეადგინა 19 600 ლარი;

უკიდურესად გაჭირვებულ და უბინაო მოქალაქეებს (30 ოჯახი) ბინის ქირით უზრუნველსაყოფად ჩაერიცხათ 47 520 ლარი;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის პროგრამით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში შემოწმდა ქალაქ ხაშურისა და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სკოლებისა და საბავშვო ბაღების სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ამ პერიოდში, ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. ჩატარებულია ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები. მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული, „ც” ჰეპატიტის უფასო სკრინინგული კვლევები.

მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. მიმდინარე წლის დასაწყისში, იანვრის თვეში, ტრადიციულად, საზეიმოდ აღინიშნა შობა–ახალი წლის დღესასწაული. ახალი წლის ღამეს, ღია ცის ქვეშ, გაიმართა კონცერტი, რომელიც დასრულდა ფეიერვერკით. (39766 ლარი)

7 იანვარს, პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით, გაიმართა კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით. აგრეთვე გაიმართა გამოფენა გაყიდვა ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით.

20 თებერვალს, დაბა ბაკურიანში, მსოფლიო ჩემპიონატის გახსნასთან დაკავშირებით, განხორციელდა ხაშურელი მეწარმე ქალთა კავშირის წევრების ტრანსპორტით უზრუნველყოფა. მეწარმეებმა საკუთარი ნაწარმი წარმოადგინეს აღნიშნულ ღონისძიებაზე.

3 მარტის დედის და 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სიმბოლური საჩუქრები გადაეცა მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ დამლაგებელ და პოლიციაში დასაქმებულ ქალბატონებს.

9 აპრილს, გვირგვინითა და 9 აპრილის სიმბოლო - წითელი ტიტებით შეიმკო დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი.

10 აპრილს, განათლების, კულტურის და სპორტის სამ სახურის ხელშეწყობით, ხაშურის სამუსიკო სკოლაში კომპოზიტორ კახა ცაბაძის საღამო გაიმართა. სამუსიკო სკოლის სიმებიანი, საფორტეპიანო და საგუნდო კლასების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა კახა ცაბაძის კომპოზიციები თბილისის კამერულ ორკესტრთან ერთად დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეასრულეს.

26 აპრილს, სოფ. ქვიშხეთში, გაიმართა სახალხო დღესასწაული „ყიფიანობა“. ღონისძიებათა ფარგლებში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის თენგიზ ჩიტიაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მუზეუმში გაიმართა გამოფენა და ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტი.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, გვირგვინით შეიმკო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. აგრეთვე, ყვავილებითა და სიმბოლური საჩუქრებით დასაჩუქრდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ხაშურის საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი პედაგოგი ნინო ქურდაძე.

გრანდიოზული ღონისძიებებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი. დიმიტრი ყიფიანის სახ. სკვერში მოეწყო ადგილობრივი შემოქმედების ნამუშევრების, მეწარმეთა ნაწარმის გამოფენები. პარალელურად, ქალაქის ცენტრალურ სკვერში არსებულ მინი სტადიონზე პეინტბოლის ტურნირი ჩატარდა. ღონისძიებების ფარგლებში, რკინიგზის სადგურის ფოიეში, ახალგაზრდა ხაშურელი ფოტოგრაფის, ლანა ბლიაძის ფოტოგამოფენა გაიხსნა. დღის ბოლოს კი, ადგილობრივი და მოწვეული პოპულარული მომღერლების მონაწილეობით საზეიმო კონცერტი გაიმართა. სადღესასწაულო განწყობა ფეიერვერკმა დაასრულა.

29 მაისს, ქალაქ ბათუმში, ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-14 საერთაშორისო გამოფენაზე „EBIT-2023“, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, მონაწილე 85 ქართულ და საერთაშორისო კომპანიას შორის, ჩვენი მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარმოჩინდა ადგილობრივი ოსტატების მიერ.

მაისის თვეშივე, პოლონეთის დამეგობრებულ ქალაქ ტარნოვში, ქალაქის დღესასწაულზე მონაწილეობისათვის, დაფინანსდა სპეციალურად ამ დღესასწაულზე მიწვეული მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფრესკა“ (12 წევრი). ხაშურელი მოცეკვავეების პერფორმანსმა (ქორეოგრაფი: ელენე რატიანი) პოლონელი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ღია ცის ქვეშ, საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ, მოეწყო საბავშვო კულტურულ-სპორტული აქტივობები, მოწვეულმა ანიმატორებმა იზრუნეს ბავშვების საზეიმო განწყობაზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და საბიბლიოთეკო გაერთიანების ინიციატივით დაფუძნდა საბავშვო წიგნის ფესტივალი „ასფურცელა“, რომელიც 25 ივნისს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე - დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში გაიმართა. საბავშვო ლიტერატურის მოყვარულებმა, საბიბლიოთეკო გაერთიანების ყველა ფილიალსა და ხაშურის ცენტრში, უმასპინძლეს საბავშვო მწერლებსა და გამომცემლობებს: „არტანუჯი“, „ინტელექტი“, „პალიტრა L“, „მანდარინი“, „მახარობელი“. ფესტივალის ფარგლებში, ღია ცის ქვეშ, ჩვენება გამართა თოჯინების თეატრმა და პატარების განწყობაზე იზრუნეს ანიმატორებმა.

27 ივნისს, ტაშისკრის ბრძოლის 414-ე წლისთავთან დაკავშირებით, ქვიშხეთის კულტურის სახლში, გაიმართა ამ ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავი კონცერტი ხაშურის მუნიციპალიტეტის მხატვრულ-შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით. ჩატარდა პარაკლისი.

29 ივლისს, ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ღონისძიება-”მუსიკალური საღამოები” გაიმართა. ჩატარდა საბავშვო გასართობი აქტივობები, ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. საღამო დაასრულა მოწვეული მომღერლების გალა-კონცერტმა.

ხაშურის მხარეთმცოდნეობისა და დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმებში, სხვადასხვა პერიოდში, გაიმართა მხატვართა და ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევართა გამოფენები.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა შემოქმედებითი ანსამბლი თუ შემსრულებელი დაკმაყოფილდა ტრანსპორტირებით, რათა მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა დონის კონკურს-ფესტივალებში, ფართოდ გაეტანა ხაშურის სახელი და პოპულარიზაცია გაეწია მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის.

8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, გვირგვინებით შეიმკო ხაშურის მუნიციპალიტეტიდან ომში დაღუპული სამი გმირის საფლავი.

25 აგვისტოს, საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, დაბა სურამში, ღია ცის ქვეშ გაიმართა საზაფხულო მუსიკალური კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით.

14 ოქტომბერს ჩატარდა სახალხო დღესასწაული „ხაშურქალაქობა -2023“, რომელიც მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა. ღონისძიების ფარგლებში ხაშურს სტუმრობდა ლიეტუვის, ლატვიის და უკრაინის დამეგობრებული ქალაქების დელეგაციები. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაიმართა საზეიმო მსვლელობა და კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლები. პარალელურად, შედგა ადრილობრივი მეწარმეების, მხატვრების ნამუშევრების გამოფენები. დღესასწაულზე საზეიმოდ დაჯილდოვდნენ ქალაქის საპატიო მოქალაქეები, წარმატებული პედაგოგები, სპორტსმენები და დამსახურებული მწვრთნელები, 2023 წლის 100%-იანი გრანტის მქონე სტუდენტები. „ხაშურქალაქობის“ დღესასწაულის ფარგლებში ხაშურელი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ნართები“ და ჯგუფი “გუფი ლენდი”.

ტურიზმის მიმართულებით, ხაშურში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხაარდაჭერით და ჩვენი ხელშეწყობით, ჩატარდა არაერთი ტრენინგ-სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული საოჯახო სასტუმროების და ღვინის მარნების მეპატრონეები.

მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების თვალსაზრისით, აღნიშნულ პერიოდში, განხორციელდა სხვადასხვა დონის სპორტული რეგიონალური, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირები სპორტის შემდეგ სახეობებში:ფეხბურთი,კალათბურთი,რაგბი,ქართულიჭიდაობა,ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ძალოსნობა, ჩოგბურთი. ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატებზე ჭიდაობა სამბოში, ძიუდოში, კალათბურთსა და ძალოსნობაში. ასევე ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ ჩემპიონატებზე არაერთმა სპორტსმენმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული და სხვადასხვა საპრიზო ადგილი.

სასპორტო სკოლაში სპორტის ყველა სახეობაში არსებულ ჯგუფებში მიმდინარეობს უფასო სწავლება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გამოხატავს მხარდაჭერას და მოქმედ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს აფინანსებს საერთაშორისო მასშტაბით გამართულ ჩემპიონატებზე და შეკრებებზე მონაწილეობისათვის.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ასიგნების ფარგლებში, მოხდა სპორტული წარმატების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების დაჯილდოვება, აგრეთვე ფულადი ჯილდო გადაეცათ დამსახურების მქონე მწვრთნელებს.

აქტიურად მიმდინარეობს ახალგაზრდული ღონისძიებები. ყოველკვირეულად მიმდინარეობდა ინტელექტუალური თამაში „ბიგ-რაუნდი“, რომლის ფინალური შეხვედრა, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ, 17-18 ივნისს გაიმართა ქ. ქობულეთში. მოხდა ფინალისტების ტრანსპორტირებითა და სასტუმროს მომსახურებით უზრუნველყოფა. მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ივნისის თვეში, დაფინანსდა ახალგაზრდული მედიაკავშირის ინიციატივით დაგეგმილი ჯომარდობის, მშვილდოსნობის, ზიპლაინისა და პეინტბოლის ღონისძიებები ჩითახევში, სადაც მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის - ,,მომავლის სახლის“ ბენეფიციარები.

„Let do it“ საქართველოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, გაიმართა მრავალი აქტივობა სხვადასხვა მიმართულებით: დასუფთავების, გამწვანების, კედელზე ხატვის აქციები. აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოეცა ნარჩენების ურნები.

ივლის--აგვისტოს თვეში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 15-19 წლის 13 ახალგაზრდა ბაკურიანში - ინოვაციურ ბანაკში გაემგზავრა.

აგვისტოს თვეში მოეწყო ხაშურელი ახალგაზრდების მიერ ინტელექტუალური თამაში ,,საზაფხულო ბიგ რაუნდი“.

ახალგაზრდობის სააგენტოს დაფინანსებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ივლისი-აგვისტოს თვეში ანაკლიის ბანაკში გაემგზავრა საზღვრისპირად მცხოვრები ბროლოსნისა და წაღვლის საჯარო სკოლის 19 მოსწავლე.

14 ოქტომბერს, „ხაშურქალაქობის“ დღესასწაულის ფარგლებში, გაიმართა „Off-Road Challenge Khashuri”

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, 2024 წლისთვის დაგეგმილია:

ქ. ხაშურში, აგარის ქუჩის მოასფალტება;

ქ. ხაშურში, ოქტომბრის ქუჩის მოასფალტება;

დაბა სურამში, რუსთაველის ქუჩაზე ცენტრალური პარკის და პარკში მდებარე ყოფილი კინოს შენობის რეაბილიტაცია;

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხაში, გზის მოასფალტება

ქ. ხაშურში რუსთაველის ქუჩაზე #16 და #43 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია;

ქ. ხაშურში, მდინარე შოლაზე ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა;

წრომში ასფალტობეტონის გზის მოწყობა;

ზეკოტაში, ასფალტობეტონის გზის მოწყობა;

ტეზერში, გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

სოფელ ახალსოფელში ,გზის მოასფალტების სამუშაოები;

ხაშურის მუნიციპალიტეტში, ალის ადმინისტარციულ ერთეულში, სოფ. ქინძათისა და სოფელ დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოები;

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვიშხეთში, მჭედლიშვილების უბანში გზის მოასფალტების სამუშაოები;

მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვიშხეთში, 22-ე და 25-ე ქუჩების გზის მოასფალტების სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის დახმარებით და ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსების გონივრული გამოყენებით, მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვან ღონისძიებებს განახორციელებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით. აქვე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საქმიანობის განმავლობაში მუდმივად ვგრძნობდით უდიდეს მხარდაჭერას როგორც საქართველოს მთავრობის, ისე რეგიონის ხელმძღვანელობის მხრიდან, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი მათ. მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ა(ა)იპ-ების თითოეულ თანამშრომელს, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა თითოეული პროექტის განხორციელება.

მადლობას ვუხდი თითოეულ აქ დამსწრეთაგანს მობრძანებისა და ყურადღებისთვის.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

რედაქციისგან: დღეს ვიწყებთ თამაზ ლაცაბიძის ძალზე საინტერესო ნაშრომის „ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები“-ს ბეჭდვას,, რომელიც, ფაქტობრივად, სრულად მოიცავს ჩვენს მუნიციპალიტეტს. ზოგადად, ტოპონიმიკა ძალზე საინტერესო ფენომენია და მის გარეშე ისტორიის კვლევის სრულყოფილება თითქმის წარმოუდგენელია. ამიტომაც, ეს ნაშრომი ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორიის ისეთი „ქვეთავია“, რომლის გარეშე ამ ისტორიის რეალობასთან თანხვედრა თითქმის შეუძლებელია. ღრმად გვწამს, ეს სამეცნიერო ნაშრომი სამაგიდო წიგნად იქცევა ხაშურის ისტორიის შემსწავლელი მკვლევარების, ისტორიკოსების სტუდენტებისა თუ სხვა დაინტერესებულ პირთათვის. და ერთიც, ავტორი თხოვს ყველას, ნებისმიერი შენიშვნა, რომელიც მათი აზრით, ან ზოგადად, დაკავშირებული იქნება კონკრეტული ტოპონიმის ინტერპრეტაციასთან, მიაწოდონ მას, ან აცნობონ იმის შესახებაც, თუ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში რომელიმე კონკრეტული ტოპონიმი არ არის შესული ნაშრომში.

X X X

ხაშურის მუნიციპალიტეტის მდებარეობამ განაპირობა ის, რომ აქ ყოველთვის, ყველა ისტორიულ ხანასა თუ ეპოქაში, კარგად ჩანს საზოგადოების შემოქმედებისა და საქმიანობის ინტენსიური კვალი. არა მარტო არქეოლოგიური თუ წერილობითი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ტოპონიმიკური მონაცემებითაც დგინდება საზოგადოების განვითარების უწყვეტობა, იგრძნობა ინტენსიური საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა. ეს კარგად ჩანს რაიონის, როგორც მიკრო, ასევე მაკრო ტოპონიმიაში.

ტოპონიმში ადგილის სახელი იგულისხმება, ხოლო ტოპონიმიაში ადგილთა სახელწოდებების ერთობლიობა, ტოპონიმიკა კი მეცნიერების დარგია, რომელიც ადგილის სახელწოდებას შეისწავლის.

ტოპონიმი გარკვეული ინფორმაციის შემცვლელია. მასში ადვილად შეიძლება, ამოვიკითხოთ ხალხის ნაფიქრ-ნააზრევი, მათი ყოფა და კულტურა, საქმიანობა და ტრადიციები და სხვა. უფრო მეტიც, ისტორიული მოვლენებიც კი შეიძლება, ამოვიკითხოთ, ის პროცესები, რასაც ადგილი ჰქონდა ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებში.

არის ტოპონიმები, რომლებიც საუკუნეების წიაღიდან იღებს სათავეს და დღემდე აგრძელებს სიცოცხლეს. მაგრამ, რადგან ტოპონიმი საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტია, ხშირად საზოგადოების ცვლილებასთან ერთად იცვლება ან იკარგება იგი. ხშირად, საზოგადოების ცხოვრების ცვლილებების დროს, ახალი ტოპონიმები ჩვენს თვალწინ იქმნება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაზე თამამად შეიძლება გავრცელდეს ეს, რაც ზემოთ ითქვა.

აქ გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც ასწლეულებს ითვლის. მაკრო (ცხრამუხა, თაგვეთი, დამჩხეულა, რბონა) და მიკრო (ნახვეტრები, ღორინამკალი, გუეთი, ქარტა, კოღუა და ა.შ.) ტოპონიმები დიდი ხანია, რაც არსებობს, თუმცა ზოგიერთმა ცვლილება განიცადა (მთაგუეთი-თაგუეთი, თაგვეთი, ბრბონა-რბონა, დამჩხერალო-დამჩხეულა, ღორინაკალი-ღორინამკალი და ა.შ.)

საკრებულოს ტერიტორიაზე ტოპონიმებში კარგად ჩანს საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლი. ამის დასტური უნდა იყოს ,,საამილახვროს მოსახვევი”, ,,სასუმბათო”, ,,ამირეჯიბის ახო”, `საბაშიო”, `საამილახვრო ტყე”, ,,ამილახვრის მინდორი”, ,,ამილახვრის ტყე” და სხვა, რაც აქ აბაშიძეების ამილახვრების ყოფნაზე მიგვითითებს. უამრავი ტოპონიმი, დაბალი ფენის წარმომადგენლებს უკავშირდება. ხშირად ასეთი სახელები ჩვენს თვალწინ იქმნება.

არაერთი ტოპონიმი იმ სამეურნეო საქმიანობაზე მიგვანიშნებს, რომელიც აქ იყო განვითარებული (უფრო მიწათმოქმედება). ტოპონიმები სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ დარგებზეც მიგვანიშნებენ. მაგალითად, ადგილის სახელი `ნაღომარი” გვიდასტურებს, რომ თაგვეთში ღომის კულტურასაც რომ მისდევდნენ, ასეთი არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში ძველის გვერდით უფრო მომეტებულად გვხვდება ახალი ტოპონიმები, რომლის ასაკი ერთ საუკუნეს ითვლის. მუნიციპალიტეტის ტოპონიმიის გაცნობა, დარწმუნებული ვართ, ბევრ ადამიანს გაგვახსენებს, რომლის სახელებიც დღეს ტოპონიმიაში აგრძელებენ სიცოცხლეს.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აქ წარმოდგენილ სოფლებს ბევრი საზიარო ტოპონიმები აქვს.

ადგილზე ჩაწერილი ტოპონიმიკური მასალა შევავსეთ ისტორიული წყაროებიდან (,,ქართლის ცხოვრება“ და სხვ.), აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ხელნაწერებიდან და დოკუმენტებიდან, აგრეთვე ხაშურის არქივში დაცული გასული საუკუნის 20-50 - იანი წლების მასალებიდან ამოკრეფილი ტოპონიმებით. ყველაფერმა ამან უფრო სრულყოფილი გახადა ჩვენი თვალსაწიერი მუნიციპალიტეტის ტოპონიმიის შესახებ.

დაინტერესება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიით, უმთავრესად, გაპირობებულია ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. მისი ლინგვისტური კვლევა ჩვენს ინტერესებში არ შედის. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ამა თუ იმ ტოპონიმის ისტორიული სიღრმე, მასთან დაკავშირებული მოვლენები, თქმულებები და ლეგენდები, ხალხური ეტიმოლოგია.

უძველესი ცნობები ხაშურის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ გვხვდება ისტორიულ წყაროებში, ხელნაწერებსა თუ დოკუმენტებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს ისტორიის უპირველესი წყარო - ,,ქართლის ცხოვრება“. მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ვახუშტი ბატონიშვილის ,,აღწერა სამეფოსა საქართველოისა“. ვახუშტი ბატონიშვილმა XVIII საუკუნის 40 - იანი წლებისათვის დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დააფიქსირა და რუკაზე დაიტანა 61 დასახლებული პუნქტი, რომელებიც აღწერილია მდინარეთა ხეობების მიხედვით. ხაშურის ტერიტორიაზე მომხდარი ზოგიერთი ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენის აღნიშვნისას ,,აღწერაში“ ვხვდებით სხვა ტოპონიმებსაც. ვახუშტის სახელთან არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტის ტოპონიმების აღწერის პირველი ცდა, გვაძლევს ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიზაციასაც (მაგ; ტაშისკარი).

თითქმის ამდენივე და იგივე დასახლებული პუნქტი აქვს აღნუსხული იოანე ბატონიშვილს XVIII საუკუნის 90 - იანი წლების დასასრულისათვის. იოანე ბატონიშვილსაც, სოფლები, ვახუშტის მსგავსად, მდინარეთა ხეობების მიხედვით აქვს აღწერილი.

უამრავი ტოპონიმია გაბნეული აგრეთვე ისტორიულ დოკუმენტებსა და ხელნაწერებში.

საინტერესო ინფორმაციაა დაცული მოსახლეობის XVII – XVIII საუკუნეების აღწერის დავთრებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარი, რომელშიც დაფიქსირებულია მდინარე მტკვრის მარცხენა მხრის შენაკადების, მდინარეების, ე.წ. ფრონეების ხეობების (ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტები) თითქმის ყველა სოფელი.

ასევე საინტერესო მონაცემებს ვხვდებით უცხოელი ავტორების (ჟან შარდენი, გიულდენშტედტი და სხვ.) შრომებში, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო რეგიონს აღწერენ.

ამჯერად, განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მოსახლეობის თურქულენოვან აღწერებზე. როგორც ცნობილია, 1723 წლიდან 1735 წლამდე ქართლში ოსმალები არიან. ეს არის ე.წ. ,,ოსმალობის“ პერიოდი ქართლის ისტორიაში. მათ 1728 წელს აღწერეს ქართლის მოსახლეობა. აღწერის შედეგები შესულია ,,თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“.

ხაშურის მუნიციპალიტეტი, დავთრის მიხედვით, შედის გორის ლივაში, კერძოდ, საციციანოსა და საამილახვროს ნაჰიეებში. რუისის საწყმსოს 1715 წლის დავთრისგან განსხვავებით მასში მტკვრის ორივე მხარის სოფლებია აღწერილი. ამავე დროს ეს აღწერები უფრო სრულყოფილია, თუმცა მასში არ არის ზოგიერთი დასახლებული პუნქტი შეტანილი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ დავთარში მოსახლეობა ოსმალური წესით არის აღწერილი - სახელითა და მამის სახელით. მიუხედავად ამისა, შეიძლება გარკვეული პარალელების გავლება თუ მსგავსების დანახვა რუისის სამწყსოს დავთრის მონაცემებთან.

საციციანოს ნაჰიეში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან შემდეგი სოფლებია აღწერილი: კილეთი (ყელეთი), ბოსლეთი, ზემოვეთი (წვიმოეთი), თრუმი (წრომი), ქირზიხევი (კრისხევი), შულიშკური (მშვლისყური - შვლისყური - შლუყური), კალიბი (ხალიბი), სულ 8 სოფელი. არის კიდევ ზოგიერთი სოფელი (მირვეთი, კათისირი, ავჯა), რომელთა იდენტიფიკაცია ვერ შევძელით.

რაც შეეხება საამილახვროს ნაჰიეს, მასში აღწერილია შემდეგი სოფლები: ქვიშხეთი, ტეზერი, სათესველი ჩალა (ზემო ჭალა?), სურამი, ბეკამი, გვერდისუბანი, გორათი, ხაშური, ოსიაური, ახალსოფელი, სათივე (სატივე), ლუბირმა (ლუბრუმა), ქემერტი (ქემფერი), ოძისი, უთხვა (ურთხვა), წაბლოვანი (წაბლოვანა), იტრია, ჩუმათელეთი, ცედანი, ბიჯნისი, ბრილი, ფონა, ვაყა, სომანეთი, ალი, ნაბახთევი (ნაბახტევი), სათესველი ნაბახთევი, დუმაცხოვი, ქინძათი, უწლევი, წაღვლი, ფლევი, ტკოცა, ულუნბა (ულუმბო), სულ 35 დასახლებული პუნქტი.

1728 წლის მოსახლეობის თურქულენოვანი აღწერა მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას. იგი არა მარტო ონომასტიკის თვალსაზრისით არის საინტერესო, არამედ მნიშვნელოვანია მხარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, აქ განვითარებული მეურნეობის ცალკეული დარგების, იმ გადასახადების შესწავლის თვალსაზრისით, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა იხდიდა.

ეს მასალები საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ თითოეული ტოპონიმის, ამ შემთხვევაში სოფლების, სახელწოდებათა ცვალებადობას.

ქართული და უცხოენოვანი ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტი თავიდანვე ქართული მოსახლეობით არის წარმოდგენილი, დასახლებული. ამიტომ აქაურ ტოპონიმიაში ძირითადად სწორედ მათი ყოფა, ენობრივი მომენტები და გეოგრაფიულ სახელთა გაფორმების ოდინდელი საშუალებებია ასახული.

მართალია, აქ შემდგომში სხვა ეთნოსებიც - ებრაელები, სომხები, ოსები გვხვდება, მაგრამ მათ რაიმე არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ რაიონის ტოპონიმიაზე, მხედველობაში თუ არ მივიღებთ თრიალეთის კალთებზე მდებარე ოსური მოსახლეობით დასახლებულ სოფლებს, სადაც მაკროტოპონიმია ძველია, ქართულია და მხოლოდ მიკროტოპონიმიაში გვხვდება ოსური ელემენტები, რაც XIX საუკუნის 60 - იანი წლებიდან არის დამკვიდრებული, თუმცა მათ გვერდით ქართული ტოპონიმებიც აგრძელებენ არსებობას. თითქმის უმნიშვნელოა სომხური და რუსული წარმოშობის ტოპონიმები.

ქართულ ტოპონიმებში ასახულია ჩვენი ერის ისტორია, სამეურნეო ყოფა და კულტურა. ხშირად ტოპონიმი ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაზე მიგვანიშნებს, ან ამ მოვლენით გამოწვეულ შედეგზე და სხვ. იგივე თამამად ითქმის ხაშურის რაიონის ტოპონიმიაზე.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიას არავითარი ცვლილება არ განუცდია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ორ შემთხვევას, როცა 1928-1934 წლებში ხაშურს სტალინისი ერქვა და იმავე 30-იან წლებში სარმანიშვილის კარს ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად რვა მარტი უწოდეს. ამ სოფელს ძველი სახელწოდება დაუბრუნდა გასული საუკუნის 90 - იანი წლების დასაწყისში.

თამამად შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიის ძირითადი ფონდი ქართულია და მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილია არაქართული წარმოშობის. ქრონოლოგიური ასაკის თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის ტოპონიმებში, ისტორიული წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება, გამოვყოთ რამდენიმე პერიოდი: ძველი (XIX საუკუნემდე), საშუალო (XIX საუკუნე - XX საუკუნის დასაწყისი) და ახალი (XX საუკუნის 20 - იანი წლებიდან დღემდე).

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია არათუ ლინგვისტური, არამედ ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისითაც ნაკლებად არის შესწავლილი.

თამაზ ლაცაბიძე,

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2 ნოემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით, მორიგი სხდომა გამართა.

საკრებულომ იმსჯელა დღის წესრიგით გათვალიწინებულ 2 საკითხზე:

დაამტკიცა განკარგულება „2023 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 დეკემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2023 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში.

პროექტები სამსახურის ხელმძღვანელმა დავით კიკნაძემ და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა ნინო სუხიაშვილმა წარმოადგინეს.

ვრცლად სხდომის მასალები იხილეთ საკრებულოს ვებგვერდზე: Khashuri.org.ge

სოფელ გომში, შიდა გზის მოასფალტების სამუშაოები დასრულდა

პროექტის ფარგლებში, მოიხრეშა და მოსწორდა ტერიტორია, დაიგო ასფალტის საფარი. დაიხაზა და დაიდგა საგზაო ნიშნები.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა და ღირებულებამ 324 800 ლარი შეადგინა.

სოფელ გომში, მეორე ქუჩის გზის მოასფალტების სამუშაოების პროექტი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

- ხელოვნება -

„ფრესკის“ მორიგი აღიარება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მუნიციპალურმა ანსამბლმა „ფრესკამ“ მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში.

„ფრესკამ“ ორი ცეკვა წარმოადგინა მაყურებლის წინაშე, დიდი მოწონება დაიმსახურა და სპეციალური ჯილდო მიიღო.

ჯემალ ანთიძე - თბილისელი კაცი, რომლისთვისაც ხაშური მშობლიურ ქალაქად იქცა

არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ცხოვრების გარკვეულ პერიოდს რომელიმე კონკრეტულ ქალაქს დაუკავშირებენ და შემდეგ, სულ თითზე ჩამოსათვლელ წლებში, ამ „უცხო“ ადგილას, იმდენ ღვაწლს და, რაც მთავარია, სიყვარულს ტოვებენ, რომ ამ ქალაქის ისტორიის შეუცვლელი პერსონები ხდებიან. მართლაც, გამორჩეული თვისებები და, თუ გნებავთ, შარმი უნდა ჰქონდეს კაცს, ეს რომ მოახერხოს და 30-40-50 წლის შემდეგაც



მასზე აღმატებულ ტონში საუბრობდნენ იმ კონკრეტულ ქალაქში. აი, სწორედ ასეთი პიროვნება იყო ჯემალ ანთიძე, კაცი, რომლის სახელი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ხაშურის სპორტთან, კონკრეტულად კი ჩვენ საფეხბურთო კლუბ „ივერიასთან“, რომ ეს კვალი არასოდეს წაიშლება. თვითონაც საოცარი რამ აქვს ნათქვამი მეგობრებში: გურიაში გავიზარდე, მთელი ბავშვობა იქ გავატარე და ძილში, რა გურია, გამუდმებით ხაშური მესიზმრებაო... ასეთი კაცი გამოაკლდა ოჯახს, მეგობრებს და ... ხაშურს.

მართალია, 50 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღესაც ბევრია თვითმხილველი იმ დიდი მატჩისა, როდესაც 1970 წელს, „ივერიამ“ ნუკრი ლომსაძისა და თემურ კობერიძის გოლებით ხობის გუნდს მოუგეს თბილისში, ფინალური მატჩი და ჩვენი გუნდი პირველ ლიგაში აღზევდა. სწორედ ბატონი ჯემალი იყო ამ თამაშის მთავარი შემოქმედი - გუნდის უფროსი მწვრთნელი, რომლის აბსოლუტურად სწორად დაყენებულმა ტაქტიკამ ეს შედეგი დადო.

გულისხმიერი, შემოქმედებითი, პროფესიონალი, ბრწყინვალე საფეხბურთო პედაგოგი და უბრალოდ კარგი კაცი - ასეთად ახასიათებენ მას მეგობრები. სულ ოთხი წელი დაჰყო მან „ივერიაში“ და პირველ ლიგაში ხომ აიყვანა, შემდეგაც ისეთი გუნდი შექმნა, თავის ოსაძე - ლომსაძის მრისხანე დუეტით, შიშის ზარს რომ სცემდნენ საქართველოს პირველობაზე მოასპარეზე ნებისმიერ გუნდს. რაც მთავარია, უდიდესი სიყვარული დატოვა ჩვენს ქალაქში, სადაც, როგორც თვითონ ბევრჯერ უთქვამს, უფრო მეტი მეგობარი ჰყავდა, ვიდრე მშობლიურ თბილისში.

ვუსამძიმრებთ ყველას - ოჯახს, მეგობრებს, „ივერიას“ და მეოხად ვუდგებით უფალს, რომ სანთელ - ნათელი არ მოაკლდეს ამ კარგ კაცს მარადიულ სასუფეველში.

გოგი გოგოლაძე

სურათზე: „ივერია“, 1970წ. მარჯვნივ, ბოლოში, ჯემალ ანთიძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.